სახელმწიფო სტრუქტურების სატელევიზიო მედიასთან ურთიერთობის სპეციფიკა და გამოწვევები

მაგისტრი

გიგა ბენია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ნატროშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარმოდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიგა ბენია

15.06.2023

აბსტრაქტი

საქართველოში სახელმწიფო უწყებებისა და მედიასაშუალებების, მათ შორის სატელევიზიო არხების წარმომადგენლების ურთიერთობა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან წინააღმდეგობებითა და საყურადღებო ტენდენციებით ხასიათდება. საკითხის აქტუალიზაციას განსაკუთრების განაპირობებს ეროვნული სატელევიზიო მედიაგარემოს პოლარიზება. დღესდღეობით პრაქტიკულად ყველა წამყვანი ტელეარხის უკან პოლიტიკური ლიდერები დგანან, რომლებიც სარედაქციო პოლიტიკას საკუთარი დღის წესრიგით განსაზღვრავენ. აღსანიშნავია, რომ თავად მედიასაშუალებების ნაწილიც საკუთარ პოლიტიკურ განწყობებს აშკარად გამოხატავს.

სატელევიზიო მედიის პოლარიზაციას, ერთი მხრივ, ხელს უწყობს საჯარო მოხელეების დამოკიდებულება კონკრეტული მედიასაშუალებების ჟურნალისტების მიმართ, რომლებთანაც არ თანამშრომლობენ და რომლებსაც, ზოგ შემთხვევაში, სიტყვიერი შეურაცხყოფითაც მიმართავენ. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საჯარო უწყებების საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელები ყველა სატელევიზიო მედიასაშუალებასთან თანაბრად არ თანამშრომლობენ. ტელეჟურნალისტები და საჯარო უწყებები კომუნიკაციის პროცესში გარკვეულ გამოწვევებს აწყდებიან. ერთი მხრივ, უწყებების მედიასთან ურთიერთობის სტრატეგიულ დოკუმენტებში გაცხადებულია, რომ ისინი ყველა სატელევიზიო მედიასაშუალებასთან თანაბრად თანამშრომლობენ, თუმცა, მეორე მხრივ, ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ უჭირთ ინფორმაციის მიღება, კონკრეტულ ღონისძიებებზე კითხვების დასმა ან საჯარო მოხელეებთან ინტერვიუს ჩაწერა.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და არსებული თეორიული მასალების ანალიზით, შეისწავლოს სახელმწიფო

სტრუქტურების სატელევიზიო მედიასთან ურთიერთობის სპეციფიკა და გამოწვევები: გააანალიზოს, კონკრეტულად რა პრობლემებს აწყდებიან ჟურნალისტები საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებთან კომუნიკაციის პროცესში და რა იწვევს მისკომუნიკაციას მხარეებს შორის. ასევე, კვლევა ავლენს, რამდენად ხშირია დისკრიმინაციული მიდგომა სხვადასხვა ტელეარხის ჟურნალისტებთან მიმართებით და რამდენად აზიანებს მსგავსი დამოკიდებულება სახელმწიფო უწყებებს. ამავდროულად, კვლევა ადგენს, თუ რა გამოწვევებს აწყდებიან თავად პრესსამსახურები სატელევიზიო მედიასთან ურთიერთობის დროს და რეალურად ვინ წყვეტს ტელემედიასთან კომუნიკაციის მიდგომებს.

კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდის გამოყენებით. ჩაღრმავებული ინტერვიუ შედგა 6 სატელევიზიო მედიასაშუალების 6 ჟურნალისტთან. ვინაიდან თითოეულ ტელეარხს საკუთარი სარედაქციო პოლიტიკა აქვს და ამ მიდგომებით ყველა ერთმანეთისგან განსხვავდება, ზუსტი სურათის წარმოსაჩენად, ყველა სატელევიზიო მედიის მაგალითის შესწავლა იყო მიზანშეწონილი. კვლევის პროცესში განხილულია 6 წამყვანი სატელევიზიო მედიასაშუალება: „იმედი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „ფორმულა“, Busienss Media Georgia, „მთავარი“ და „ტვ პირველი“. ჩაღრმავებულ ინტერვიუებთან ერთად, გამოყენებულია სამაგიდე კვლევა, რომელმაც სამაგისტრო ნაშრომის თემის სრულყოფაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საჯარო უწყებების ნაწილს მედიასთან ურთიერთობის სტრატეგიული დოკუმენტი არ აქვს, ნაწილი კი სწორედ ამ დოკუმენტით ხელმძღვანელობს. საბოლოოდ, ყველა უწყებაში გაცხადებულია, რომ ნებისმიერ მედიასაშუალებასთან თანაბრად უნდა ითანამშრომლონ. მიუხედავად ამისა, კრიტიკულად განწყობილი სატელევიზიო ჟურნალისტებისთვის უწყებების ნაწილი დახურულია. მათ უჭირთ

ინფორმაციის მიღება, საკითხის დაზუსტება, რესპონდენტთან ინტერვიუს ჩაწერა, ღონისძიებაზე დასწრება და ა.შ. აღნიშნული პრობლემები არ აქვთ ხელისუფლებისადმი ნაკლებად კრიტიკულად განწყობილ ჟურნალისტებს, რომლებთანაც ყველა სამინისტრო თუ სხვა საჯარო უწყება თანაბრად თანამშრომლობს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პრესსამსახურების ნაწილს სატელევიზიო ჟურნალისტების ქცევა და ეთიკა არ მოსწონთ. პრესსამსახურები მათ კვალიფიკაციის ნაკლებობაზეც ჩივიან, რაც შემდგომში რესპონდენტებისა და ჟურნალისტების ურთიერთობაში ერთგვარ წითელ ხაზად იქცევა.

სატელევიზიო ჟურნალისტების კვალიფიკაციისა თუ სარედაქციო პოლიტიკის მიუხედავად, თითქმის ყველა უწყების მედიასთან ურთიერთობის სპეციალისტებს გაცხადებული აქვთ, რომ საჯარო მოხელე თითოეული მედიის კითხვას უნდა პასუხობდეს. გამოიკვეთა, რომ პრესსამსახურები ჟურნალისტის თხოვნას, მიეწოდოს ინფორმაცია ან მიეცეს რესპონდენტის ჩაწერის საშუალება, შესაბამის პირებს აწვდიან, თუმცა შემდგომი უკუკავშირი საჯარო მოხელეების სურვილზეა დამოკიდებული. შეიძლება ითქვას, რომ მედიასთან კომუნიკაციას არა კონკრეტული უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, არამედ საქართველოს მთავრობის სტრატკომი იღებს, რომელთანაც ყველა უწყების სტრატეგია თანხმდება.

Abstract

Relations between representatives of state agencies and media outlets, including TV channels, in Georgia have been characterized by contradictions and notable trends since the country's independence. The actualization of the issue is particularly conditioned by the polarization of the national television media environment. Nowadays, political leaders stand behind practically all the leading TV channels, who define the editorial policy according to their own agenda. It should be noted that some of the media outlets clearly express their political views.

On the one hand, the polarization of the television media is facilitated by the attitude of public officials towards the journalists of specific media outlets, with whom they do not cooperate and who, in some cases, are addressed with verbal abuse. It should be noted that in recent years the heads of public relations of public agencies do not cooperate equally with all television media outlets. TV journalists and public agencies face certain challenges in the process of communication. On the one hand, the agencies' media relations strategic documents state that they cooperate equally with all television media outlets, however, on the other hand, journalists note that it is difficult to get information, ask questions at specific events or record interviews with public officials.

The aim of the master's thesis, through in-depth interviews and the analysis of existing theoretical materials, is to study the specifics and challenges of the relationship between state structures and the television media: to analyze what specific problems journalists face in the process of communicating with public relations specialists and what causes miscommunication between the parties. Also, the research reveals how frequent a discriminatory approach towards journalists of different TV channels is and how much such an attitude damages state agencies. At the same time, the research determines what challenges the press offices themselves face when communicating

with the television media and who actually decides the communication approaches with the television media.

The research was conducted using a qualitative method. In-depth interviews were conducted with 6 journalists from 6 television media outlets. Since each TV channel has its own editorial policy and these approaches differ from each other, it was appropriate to study examples of all TV media in order to present an accurate picture. In the research process, 6 leading television media outlets were discussed: "Imedi", "Public Broadcaster", "Formula", Busienss Media Georgia, "Mtavari" and "TV First". Along with in-depth interviews, desk research was used, which played an important role in perfecting the topic of the master's thesis.

As a result of the research, it was established that some of the public agencies do not have a strategic document for relations with the media, while some of them are guided by this document. Finally, all agencies have declared that they should cooperate equally with any media outlet. Nevertheless, some agencies are closed for critical television journalists. It is difficult for them to get information, clarify the issue, record an interview with the respondent, attend an event, etc. Journalists who are less critical of the government, with whom all ministries and other public agencies cooperate equally, do not have the mentioned problems.

As a result of the research, it was established that part of the press service does not like the behavior and ethics of TV journalists. Press services also complain about their lack of qualifications, which subsequently becomes a kind of red line in the relationship between respondents and journalists.

Regardless of the qualifications of the TV journalists or the editorial policy, the media relations specialists of almost all agencies have declared that the civil servant

should answer the question of each media. It was revealed that the press services forward the journalist's request to provide information or allow the respondent to record to the relevant persons, although further feedback depends on the will of public officials. It can be said that communication with the media is not handled by the Public Relations Service of a specific agency, but by the Stratcom of the Government of Georgia, with which the strategies of all agencies agree.

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ნინო ნატროშვილს, რომელიც კვლევის ყველა ეტაპზე გვერდით მედგა. მისმა პროფესიულმა რჩევებმა და ინსპირაციამ დიდი დახმარება გამიწია კვლევის პროცესში.

მადლობას ვუხდი ჩემს რესპონდენტებს — ჟურნალისტებს, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს ჩაღმავებულ ინტერვიუებზე. მათი აქტიური დაინტერესების, მონაწილეობისა და ჩართულობის დახმარებით, კვლევის პროცესი და შედეგები მეტად ინფორმაციული, მრავალმხრივი და ღირებული გახდა და საჯარო უწყებების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების დეპარტამენტების წარმომადგენლებს, რომლებმაც ასევე მიიღეს მონაწილეობა ჩაღრმავებულ ინტერვიუებში, გამოხატეს ენთუზიაზმი და ინტერესი, ისაუბრეს საკუთარი უწყებების საზოგადოებასთან ურთიერთობების სტრატეგიების დაგეგმვასა და განხორცილებაზე და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევის სიღრმისეულობასა და ხარისხში.

საბოლოო ჯამში, მედიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენლებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოკვეთა სრული სურათი, რომელმაც ღირებული როლის შეასრულა საკითხის შესწავლის, ანალიზისა და მიგნებების ჩამოყალიბების პროცესებში.

სარჩევი

შესავალი..... 10